ქართული ენა და ლიტერატურა

ანბანის შემდგომი პერიოდი

დანართი **N2**

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

ძირითადი რესურსი/ტექსტი/: ,,ქვისგან გაკეთებული წვნიანი“

დამატებით რესურსი:

თემა: სიკეთე

შესაძლო დამატებითი თემატიკა: თანადგომა

კლასი: IVბ

საათების სავარაუდო რაოდენობა:

სკოლა: N 11 საჯარო

პედაგოგი: მთვარისა წიკლაური

დავალება	ცნებები და ქვეცნებები	საკითხი	საკვანძო შეკითხვები
ამბის შეთხზვა ზღაპრის დედააზრის საფუძველზე	• თხრობა, • სტრატეგიები: იდეების გენერირება; იდეების კატეგორიზება • ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები	ევროპული იგავი–,,ქვისგან გაკეთებული წვნიანი“ ამბის შედგენა იმის შესახებ, თუ როგორ აჯობა სიკეთემ ბოროტებას.	როგორ შევთხზა ამბავი იგავის დედააზრის საფუძველზე? როგორ გამოვიყენო თხრობისას ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები?

(2) ფუნქციური სამეტყველო ქმედება
(შედეგები: I. 1; I. 2; I. 3; I. 4; I; 5;I. 9; I. 13; I. 14; I. 15)

1. სამეტყველო ქმედების სხვადასხვა ტიპს (მაგ., თხრობას, აღწერას, დასაბუთებას) თავისებური სტრუქტურა-აგებულება აქვს.
2. მეტყველები სას საჭიროა სათქმელის თანამიმდევრულად გადმოცემა, ენობრივი საშუალებების გამოყენება სამეტყველო ამოცანის შესაბამისად.
3. ზეპირი სამეტყველო ქმედების დროს წინადადების

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, გეზისმიმცემი შეკითხვები)

ეტაპი 1.მოსწავლეებისთვის კომპლექსურიდავალების პირობის გაცნობა დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. **როგორ შეიცვალა მნიშვნელობა ზედსართავმა სახელმა ოდნაობითი და უფროობითი ფორმების წარმოებით**

აქტივობა1. ჩამოთვლილი სიტყვებიდან ზედსართავი სახელების ამოწერა.

ლამაზი, თაიგული, გრძელი, კარგი, გვირილა, მანქანა, ცუდი, დიდი, ხუთი, თხელი, მასწავლებელი, სოკო, მწარე, შავი.

აქტივობა2. მოსწავლეები აწარმოებენ ოდნაობითი და უფროობითი ხარისხის ფორმებს, შემდეგ მოჰყავთ მაგალითები;

	ოდნაობითი	უფროობით
ლამაზი		ულამაზესი
გრძელი	მოგრძო	უგრძესი
ცუდი		უარესი
კარგი		
თეთრი		

კომპლექსური დავალება -ამბის შექმნა.

მოიგონე ან გაიხსენე და დაწერე ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ აჯობა სიკეთემ ბოროტებას.

ნაშრომში:

- წარმოაჩინე ამბის სამნაწილიანი სტრუქტურა: დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული.
- გამოიყენე ზედსართავი სახელის ოდნაობითი და უფროობითი ხარისხის ფორმები (სულ მცირე 2-2)
- ამბავი გადმოეცი ვრცელი, მრავალფეროვანი წინადადებებით.
- გამოკვეთე დეტალები, ვინ როგორ გაიმარჯვა სიკეთით ბოროტებაზე? რა შედეგი მოჰყვა ამას;
- წინადადებების შინაარსის გათვალისწინებით გამოიყენე შესაბამისი სასვენი ნიშნები.

დავალების წარდგენის შემდეგ ისაუბრე:

- რაში დაგეხმარა თხრობის სტრუქტურის ცოდნა სათქმელის უკეთ გადმოსაცემად?

დიდი		
მწარე		უმწარესი
თხელი		

აქტივობა 3. წინადადების განვრცობა: სამსიტყვიანი წინადადებების განვრცობა) ამოსავალი წინადადება: **მეგობრები გზას მიუყვებოდნენ.**

განვრცობილი წინადადების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი: გულითადი მეგობრები ვიწრო და ეკლიან გზას ხტუნვა- ხტუნვით მიუყვებოდნენ.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზ ეორიენტირებული შეკითხვები **ქვეცნება:** **ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები**	• როგორ შეიძლება ერთი სიტყვით თქვა „ძალიან გრძელი“? • დააკვირდი უფროობითი ხარისხის ფორმებს, რა აქვთ მათ საერთო? • რომელი თავსართი - ბოლოსართი გვხვდება ყველა მათგანში? • დააკვირდი ოდნაობით ხარისხის ფორმებს. რომელი თავსართ-ბოლოსართი გვხვდება ? • რა განსხვავებაა მომწაროსა და უმწარესს შორის? • ყველა ზედსართავ სახელს აქვს ხარისხის სამივე ფორმა? • როგორი შეიძლება იყვნენ მეგობრები? (ანცი, მოუსვენარი, თვალებციმციმა...)

შინაარსს გამოვხატავთ ინტონაციით, წერითი სამეტყველო ქმედების დროს - სასვენი ნიშნებით. 4. სამეტყველ ო ქმედების შესასრულებლად მნიშვნელოვანია სტრატეგიების აღმოჩენადაგამრა ვალფეროვნება. **სიტყვის ფორმაცვალება** 1.წინადადებაში სიტყვები ერთმანეთთან დასაკავშირებლად საჭირო ფორმას იძენს; 2. სიტყვის ფორმის შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს მისი მნიშვნელობის ცვლილება.	• რატომ ფიქრობ, რომ შენი თხრობ საინტერესო და გასაგები იქნებ მსმენელისთვის? • როგორ შეიცვალა მნიშვნელობ ზედსართავმა სახელმა ოდნაობით და უფროობითი ფორმების წარმოებით • რა სტრატეგიები გამოიყენ დავალების შესრულების დროს მაკროცნებები

	• როგორი შეიძლება იყოს გზა ? (ვიწრო, გრძელი, ყვავილებით მოქარგული, უსწორმასწორო); • როგორ შეიძლება მიუყვებოდნენ? (სწრაფად, მშვიდად, სირბილით, ხტუნვა- ხტუნვით.) • რა განსხვავება პირველ (გაუვრცობელ) და მეორე (ვრცელ) წინადადებას შორის. • რომელში უფრო ნათლად, გასაგებად არის გადმოცემული აზრი? • როგორი წინადადება დამეხმარება თხრობისას მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად?

ნაბიჯი 2. რატომ ფიქრობ, რომ შენი თხრობა საინტერესო და გასაგები იქნება მსმენელისთვის? რაში დაგეხმარა თხრობის სტრუქტურის ცოდნა?

<u>რესურსები/აქტივობები</u>
<u>რესურსი 1. სქემა გონებრივი იერიშისთვის</u>

როგორ შევარჩიოთ პერსონაჟები თხრობისათვის?

_____

როგორები არიან ისინი? (გარეგნობა, ხასიათი)

1. _____

2. ----------

რა შეიძლება გადახდეთ მათ? რა ცუდ საქციელს ჩაიდენს ერთ-ერთი მათგანი?

_____

მეორე პერსონაჟის რა საქციელი გამოიწვევს პირველის სინდისის ქენჯნას?

_____

შეიცვლება თუ არა უარყოფითი
პერსონაჟი?_____

როგორ გაგრძელდება მათი ურთიერთობა?_____

<u>რესურსი 2. თხრობის ჩარჩო</u>

თხრობის ჩარჩო		
დასაწყისი	**შუა ნაწილი**	**დასასრული**
ორი მეგობარი	ერთხელ ერთ მათგანს, დახმარება დასჭირდა.....	ასწავლა ერთმა მეორეს კეთილი საქმით ჭკუა....

აქტივობა 1. იდეების გენერირება

აქტივობა 2. ამბის ერთად დაგეგმვა თხრობის ჩარჩოს გამოყენებით

აქტივობა 3. თხრობის ჩარჩოზე დაყრდნობით ამბის შეთხზვა (ერთობლივად).

აქტივობა 4. ამბის დეტალებით გამდიდრება, წინადადებების განვრცობა ზედსართავი სახელის ოდნაობითი და უფროობითი ფორმების გამოყენებით.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები **ქვეცნება:** თხრობა	• როგორ, რა ხერხების გამოყენებით შევქმნა საინტერესო ამბავი? • როგორ ვითარდება ამბავი? • როგორ მოვახდინო მკითხველზე შთაბეჭდილება? • რატომაა მნიშვნელოვანი კონკრეტული დეტალების გამოყენება თხრობის დროს? • რას სძენს კონკრეტული დეტალი ამბავს? • ამ დეტალის გარეშე როგორი იქნებოდა თხრობა? • როგორ შეიძლება შევქმნა დასამახსოვრებელი პერსონაჟი? • რამდენი ეტაპი/ნაწილი აქვს? ჩვენ მიერ შეთხზულ ამბავს? სად იწყება და სად მთავრდება შუა ნაწილი?

ნაბიჯი 3. რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენე ამბის შესაქმნელად და გადმოსაცემად?

მოვლენა, ეპიზოდი, იდეა, წინადადება,	**დაკავშირება ჩემს გამოცდილებასთან** ვინ ან რა გამახსენა ამბავში გადმოცემულმა ამბავმა? რით უკავშირდება ეს ტექსტი ჩემს გამოცდილებას, ცხოვრებას?

აქტივობა 1. გონებრივი იერიში, იდეების ორგანიზება.
აქტივობა 2. პირველადი ვერსიის შექმნა.
აქტივობა 3. პირველადი ვერსიის გაუმჯობესება თვით –ან ურთიერთშეფასების კრიტერიუმების გამოყენებით;

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები **ქვეცნება:** თხრობა	● გამიადვილებს თუა არა ამბის შეთხზვას გონებრივი იერიში? იდეების ორგანიზება მაორგანიზებელი სქემით? გეგმის შედგენა? ● რა ან ვინ იქნება ჩემი ამბის მთავარი გმირი? ● რა მოხდება? რა პრობლემა წარმოიქმნება? ● როგორ გადაუხდის ამბის ერთი გმირი მეორეს სიკეთით სამაგიეროს? შესაძლო კრიტერიუმები: ● რამდენად დავიცავი სამნაწილიანი სტრუქტურა? (აქტ. 3) ● რამდენად შევუსაბამე ჩემი ამბავიმოთხრობა „გულკეთილი ქვრივის“ მთავარ სათქმელს? ● რამდენად გამოვიყენე ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმები? ● რამდენად გამოვიყენე ვრცელი წინადადებები; ● სწორად შევურჩიე თუ არა სათაური მოფიქრებული ამბის შინაარსს? ● სწორად დასვი თუ არა სასვენი ნიშნები? ● რამდენად დავიცავი აბზაცები?

აქტივობა 4. დავალების წარდგენა, მსჯელობა მსმენელების დღიურებში გაკეთებულ ჩანიშვნებზე დაყრდნობით.

დავალების წარდგენის დროს და შემდეგ დასასმელი მეტაკოგნიტური ხასიათის შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ამბავი საინტერესო და გასაგები იქნება მსმენელისთვის?
- ზედსართავი სახელების რომელი ფორმები გამოიყენე?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა; რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდი მიღწევებს/როგორ მიაღწევ უკეთეს შედეგს?